June 2022 (№22)
Volume 8; Issue 2; Page No. 56-76
ISSN: 2346-7916 (Print)
ISSN: 2587-5043 (Online)

INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: "LAW AND WORLD" www.lawandworld.ge

https://doi.org/10.36475/8.2.5
Licensed under: CC BY-SA

Determining the Place of Residence and Rights and Responsibilities of a Juvenile Child in the Case of Parental Divorce

Khatia Gelashvili
PhD candidate in Law at Caucasus International University, Assistant in Civil Law at Caucasus International University

ARTICLE INFO

Article History:

Received 19.02.2022
Accepted 02.06.2022
Published 30.06.2022

Keywords:

Taking into account the interests of a juvenile, Rights and responsibilities of a divorced parent, The role of temporary decision

ABSTRACT

The thesis is about "Determining the place of residence and rights and responsibilities of a juvenile child in the case of parental divorce" which focuses on one of the most acute and always controversial problems in our country. In Georgia, there are frequent cases when the parents of a juvenile are divorced or living separately and can not agree about with whom to stay their child to raise. Judicial practice in this regard is common and in every new case are made largely different decisions. There are exceptions when there is no dispute between the parents and they decide for themselves with whom the juvenile should be brought up, so the analysis of each case is considered.

In this thesis, we have discuss about the protection of the interests of the juvenile, the involvement of the guardianship and custodial authority , which plays a major role in the decision-making process by the court, as it is crucial for them to thoroughly study the case and determine the psychological state of the child and the essence of the interim order issued by the court, as well as the consideration of the interests of the juveniles in determining their place of residence. The research also covers the definition of parental rights and responsibilities in the above case, which is one of the most important issue. Also, there is a little attention about situation not only in Georgia, but also in other countries in this regard.

არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრა მშობელთა განქორწინებისას

ხატია გელაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი, ასისტენტი კერძო სამართლის მიმართულებით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინება, განქორწინებული მშობლის უფლება-მოვალეობანი, დროებითი გადაწყვეტილების როლი

აბსტრაქტი

სტატიაში „არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის და უფლება-მოვალეობების განსაზღვრა მშობელთა განქორწინებისას" ყურადღება გამახვილებულია ჩვენს ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ მწვავე და ყოველთვის სადავო პრობლემაზე. საქართველოში ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნის მშობლები განქორწინებულნი არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ და ვერ თანხმდებიან, თუ ვისთან უნდა დარჩეს აღსაზრდელად მათი შვილი. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა ხშირია და ყოველი ახალი საქმის განხილვისას, უმეტესწილად განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღება. გვხვდება ისეთი გამონაკლისებიც, როდესაც მშობლებს შორის დავა არ არსებობს და ისინი თვითონ წყვეტენ, თუ ვისთან უნდა დარჩეს აღსაზრდელად არასრულწლოვანი, ამიტომ განხილულია ყოველი შემთხვევის ანალიზი.

კვლევაში განსაკუთრებულად ვსაუბრობთ არასრულწლოვნის ინტერესების დაცვაზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობაზე, რომელიც დიდ როლს თამაშობს სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან მათ მიერ სრულყოფილად საქმის შესწავლასა და ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მიერ მიღებულ დროებითი განკარგულების არსზე, ასევე, არასრულწლოვნის ინტერესების მხედველობაში მიღებაზე მისი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის დროს. კვლევა, ასევე, მოიცავს ზემოხსენებულ შემთხვევაში მშობლების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრასაც, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. აგრეთვე, მცირედი ყურადღება ეთმობ, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებში არსებულ ვითარებასაც აღნიშნული კუთხით.

შესავალი

არასწრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და მშობლის უფლება-

მოვალეობათა დადგენის საკითხები მათი განქორწინების ან ცალ-ცალკე ცხოვრების დროს, ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. განქორწინების პრობლემა საოჯახო სამართლის თანმდევი მოვლენაა, რომლის აქტუალობა, ჩვენდა სამწუხაროდ, დროთა განმავლობა სულ უფრო მეტად იზრდება. პირთა განქორწინების დროს კი უპირატესია არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების მიხედვით მოხდეს მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. გამონაკლის შემთხვევებში, მშობლები თავად თანხმდებიან, თუ ვისთან უნდა დარჩეს თავიანთი შვილი, თუმცა უმეტესად, მათ შორის შეთანხმება ვერ მიიღწევა და ამ დროს საქმის გადაწყვეტა სასამართლოს მეშვეობით ხდება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად საქმეში ერთვება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომლის როლი საქმესთან დაკავშირებული სწორი ფაქტების წარმოდგენისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აგრეთვე, არანაკლები მნიშვნელობის მქონეა, მხარის მოთხოვნის საფუძველზე განისაზღვროს მშობელთა უფლება-მოვალეობანიც შვილებისადმი, რათა არ შეიზღუდოს რომელიმე მშობლის უფლება. არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, საინტერესოა სასამართლოს დროებითი განკარგულების არსიც მათი საცხოვრებელი ადგილის სამართლიანად განსაზღვრისთვის. კვლევაზე მუშაობისას აუცილებელია ყურადღება დავუთმოთ ბავშვის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ბავშვის უფლებათა კოდექსს მათი საუკეთესო ინტერესების სრულყოფისთვის. კვლევაში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ის, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ზემოხსენებული საკითხები ისე, რომ არ დაირღვეს არასრულწლოვნის უფლებები და სწორად განისაზღვროს მათი საცხოვრებელი ადგილი, ასევე, მშობლის უფლება-მოვალეობანი მათ მიმართ, ამიტომ საკვლევი საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სტატიის მიზანია წარმოაჩინოს და გამოკვეთოს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რაც უკავშირდება არასწრულწლოვნის საცხოვრებლის განსაზღვრას მშობელთა განქორწინებისას და მშობლის უფლება-მოვალეობათა გადანაწილებას. ასევე, გამოიკვლიოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უპირატესობისთვის ბავშვის უფლებათა ევროპული კონვენციით და ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილი საკანონმდებლო ნორმები. კვლევაში საყურადღებოა გამოვკვეთოთ სასამართლოს მიერ დროებითი განკარგულების გამოცემის საკითხი, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობის აუცილებლობა. წინამდებარე სტატიის ამოცანაა, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არსებული პრობლემებისა და მისი გადაჭრის გზების გაანალიზება, სახელმძღვანელო რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება ნორმების სრულყოფისათვის.

1. არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი

1.1. არასწრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობელთა შეთანხმებით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად განქორწინებას ასახელებს[1], რომელსაც მოჰყვება თავისი სამართლებრივი შედეგი, მათ შორის არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა[2] და მშობლის უფლება-მოვალეობათა დადგენის საკითხები.[3] ეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად მიიჩნევა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანსა და მისი საუკეთესო ინტერესების დაცვას. განსახილველ საქმეებში ბევრ სირთულეს ვაწყდებით, რომელსაც ქვემოთ პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე უკეთ განვიხილავთ.

პირველ და შეიძლება ითქვას, შედარებით მარტივ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც სასამართლოსთან მიმართვის გარეშე, მშობლები განქორწინებისას თვითონ წყვე-

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [ბოლო წვდომა: 15 ოქტ, 2021]

2 იქვე., 1201-ე მუხლი.

3 იქვე., 1202-ე მუხლი.

ტენ, თუ ვისთან უნდა დარჩეს აღსაზრდელად მათი არასრულწლოვანი შვილი. ყველა მშობლისთვის მტკივნეულია, როდესაც შვილი მასთან არ იზრდება, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც და უმეტესწილად, შვილები დედასთან რჩებიან, თუ მას აქვს არასრულწლოვნის აღზრდისთვის საჭირო სოციალური პირობები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია შვილის ცხოვრების საკითხის გადაწყვეტა ერთ-ერთ მშობელთან.[4] კვლევები აჩვენებს, რომ თითქოს შემცირდა განქორწინებასთან დაკავშირებული სტიგმა, რადგან მშობლები განქორწინებას ახერხებენ ბავშვებისთვის შედარებით უფრო ნაკლებად მგრძნობიარე გზით.[5] კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მშობლები არ არიან განქორწინებულნი, თუმცა ცხოვრობენ ცალ-ცალკე. ასეთ დროსაც დგება არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, თუმცა, აქაც მშობლების მხრიდან შეთანხმება თუ მიიღწევა, მაშინ ამის გადაჭრაც მშვიდობიანი გზით სრულდება. ორივე ასეთი ფაქტის დადგომისას, იქნება ეს განქორწინება თუ სხვა მიზეზი მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრებისთვის, ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის გამოაშკარავება, თუ როგორ შეიძლება ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ მშობელებმა – ვისთან აღიზარდოს შვილი, რას იღებენ მშობლები მხედველობაში, რას ანიჭებენ უპირატესობას და არის თუ არა მნიშვნელოვანი არასრულწლოვნის აზრი მისი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისთვის მშობლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რა თქმა უნდა, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ჩემი მხრიდან შეუძლებელია, რადგან ყოველ კონკრეტულ საქმეს აქვს განსხვავებული მსვლელობა, მაგრამ შევეცდები ისეთი რეკომენდაციები ჩამოვაყალიბო, რაც ზოგადად, ნებისმიერი მსგავსი შემთხვევის მოსაწესრიგებლად გამოგვადგება.

ვფიქრობ, მშობლებმა ზემოაღნიშნული ფაქტის დადგომისას, სანამ გადაწყვეტენ, თუ ვისთან უნდა დარჩეს აღსაზრდელად თავიანთი არასრულწლოვანი შვილი, სოციალური პირობების გათვალისწინების გარდა (რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გამოსწორდეს მეორე მშობლისათვის ალიმენტის დაკისრების გზით[6] და რასაც ერთი შეხედვით ორივე მხარე მნიშვნელოვნად მიიჩნევს), მხედველობაში უნდა მიიღონ უფრო მეტად ისეთი ფაქტები, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის ურთიერთსიყვარული და პატივისცემა, რომელიც ძლიერი საშუალებაა ბავშვის პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. მშობელმა უნდა იზრუნოს, რომ აღზარდოს შვილი ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად, იზრუნოს განუვითაროს სულიერი და სოციალური მდგომარეობა, ჩამოაყალიბოს, როგორც სამართლიანი, შრომისმოყვარე და პატიოსანი ადამიანი.[7] მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს ბავშვი დამკვიდრდეს საზოგადოებაში ღირსეულ წევრად და ამისათვის მას, სოციალური პირობების შექმნაზე მეტად, მორალური პირობები უნდა შევუქმნათ სულიერი მხარის განვითარებისთვის. ხშირ შემთხვევაში დგინდება, რომ სოციალური პირობები ერთ-ერთ მშობელს – მამას უფრო უკეთესი აქვს, ვიდრე დედას, მაგრამ ზემოაღნიშნულის გააზრებით ორივე მშობლის მიერ, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის, იგი აღსაზრდელად უმეტესად დედასთან რჩება, მიუხედავად იმისა, რომ *„დედაც და მამაც თანასწორი უფლებებით სარგებლობენ და არანაირი დათქმა, ბავშვის საცხოვრებლის განსაზღვრისას, დედისთვის უპირატესობის მინიჭებაზე არ არსებობს“*.[8] სერბეთის კანონმდებლობა საინტერესო შემთხვევას გვთავაზობს ბავშვის საცხოვრებელთან დაკავშირებით, რომლის თანახმად არასრულწლოვან შვილს და მშობელს, რომელთანაც ბავშვი

4 ზოიძე ბ., & ჭანტურია ლ., (2000). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი: სამართალი, გვ. 175.

5 Finkelhor D., (2020). Trends in Adverse Childhood Experiences (ACEs) in the United States, *Child Abuse & Neglect international journal*, United States, p. 4.

6 შენგელია ე., შენგელია რ., (2011). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი: მერიდიანი, გვ. 174.

7 ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., (2000) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი: სამართალი, გვ. 171.

8 ბიზნეს-იურიდიული ცენტრი, განმარტებები და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი საოჯახო სამართლის საკითხებზე, იხ.<https://blh.com.ge/forums/Topic/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/#post-1513> [ბოლო წვდომა: 17 დეკ, 2021].

რჩება საცხოვრებლად, შეუძლიათ იცხოვრონ მეორე მშობლის საკუთრებაში არსებულ სახლში იმ პირობით, რომ მომავალში არ გამოთქვამენ პრეტენზიას ამ სახლზე და მათი ასეთი მოთხოვნით უსამართლო მდგომარეობაში არ ჩააყენებენ სახლის მესაკუთრე მშობელს.[9] ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ასეთი ფაქტები მეორე მშობლის მხრიდან საცხოვრებელი ბინის დათმობაზე თითქმის არ ხდება. ეს პრაქტიკა ნამდვილად ბავშვის საუკეთესო ინტერესს ემსახურება, რადგან იმ მშობელს, რომელსაც არ აქვს შვილის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საშუალება, კანონი აძლევს მსგავს შესაძლებლობას, რაც, ერთის მხრივ, მეორე მშობლის დიდ კეთილსინდისიერებაზე მიგვითითებს და მსგავსი მიდგომა საქართველოს მაგალითზეც კარგი იქნებოდა.

არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, შეიძლება მშობლები თავად შეთანხმდნენ, თუ ვისთან დარჩება თავიანთი შვილი აღსაზრდელად და ამაზე დავა ამის თაობაზე არ წარმოიშვას, მაგრამ აქაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია ბავშვის სურვილის გათვალისწინება. მეც აღვნიშნე და სხვა მკვლევრებიც თანხმდებიან, რომ *„ბავშვი უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში, ბედნირების, სიყვარულის, გაგების ატმოსფეროში, რათა მისი პიროვნება სრულად და ჰარმონიულად განვითარდეს“.*[10] თუმცა, სამწუხაროდ, არჩევანის შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს მისი აზრიც მოსმენილი, მშობლებმა არ უნდა მიიღონ ბავშვის სურვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, მაგალითად, თუ მშობლები შეთანხმდებიან, რომ ყველა ფაქტის გათვალისწინებით ბავშვი აღსაზრდელად მამასთან უნდა დარჩეს და ბავშვს სინამდვილეში მამასთან კი არა, დედასთან უნდა დარჩენა, მის სურვილს მშობელმა წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს, ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ფსიქიკის დაზიანება. ამასთან, როგორც ვიცით, ბავშვთა უფლებები დაცულია როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პირველ რიგში, ყველა ადამიანის გამოხატვის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და სხვა ყველა კანონი, კანონქვემდებარე აქტი და ა.შ უნდა შეესაბამებოდეს მას. კონსტიტუციის მიხედვით, *„აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია“,*[11] ე.ი ყველა, ვისაც შეუძლია გამოხატოს და დააფიქსიროს თავისი აზრი, მითუმეტეს იმ დროს, როდესაც საქმე ეხება მის უფლებებსა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას, თავისუფლად უნდა ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე, ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით, რომლითაც აღიარებული და გარანტირებულია ბავშვთა უფლებები, *„ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით“,*[12] აგრეთვე, იმავე კონვენცია გვეუბნება, რომ თუ ბავშვს აქვს უნარი გამოთქვას საკუთარი აზრი თავისუფლად ნებისმიერ საკითხზე, იგი აუცილებლად უნდა იქნას მოსმენილი.[13] აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამით ბავშვს შესაძლებლობა ეძლევა, თვითონ იქნას ჩართული იმ საქმის განხილვის პროცესში, რომელიც უშუალოდ მას ეხება.[14] შესაბამისად, ისეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც მის სამომავლო საცხოვრებელსა და ინტერესებს შეეხება, სავალდებულოც კია ბავშვის აზრის პირველ რიგში მოსმენა, ხოლო შემდგომ გათვალისწინება. აღნიშნულს განსაზღვრავს საერთაშორისო კანონმდებლობაც, გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ თანახმად, *„მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბე-*

9 Kovacek-Stanic G., (2009). Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, p. 641.

10 ლაზარიშვილი ქ., (2019) საოჯახო დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი თავისებურებანი, როგორც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის წინაპირობა, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, გვ. 27.

11 საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [ბოლო წვდომა: 18 ოქტ, 2021]

12 ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [ბოლო წვდომა: 18 ოქტ, 2021]

13 იქვე., მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი.

14 ლაზარიშვილი ქ., (2019). საოჯახო დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი თავისებურებანი, როგორც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის წინაპირობა, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, გვ. 32.

ბის უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად“,[15] ე.ი, ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ბავშვი არის იმ ასაკში (იგულისხმება გონებრივი შესაძლებლობები, რომელიც მისი აზროვნებისა და სწორად აღქმის უნარს განსაზღვრავს), რომ თავისუფლად შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი და გადაწყვიტოს, თუ რომელ მშობელთან განაგრძობს ცხოვრებას, შეუძლია ყოველივე ამის სათანადოდ გააზრება, კანონი გვავალდებულებს კიდეც, რომ მისი აზრი აუცილებლად გავითვალისწინოთ. აქედან გამომდინარე, სანამ მშობლები თავად გადაწყვეტენ, თუ რომელმა მათგანმა უნდა აღზარდოს არასრულწლოვანი შვილი, მნიშვნელოვანია არ დაირღვეს ბავშვის უფლება და მისი აზრი იქნას გათვალისწინებული. ვფიქრობ, ამ რეკომენდაციების მხედველობაში მიღების შემდეგ, მშობლები განქორწინების ან ცალ-ცალკე ცხოვრების დროს, ნამდვილად ბავშვის საუკეთესო ინტერესების მიხედვით გადაწყვეტენ, თუ რომელ მათგანთან უნდა განისაზღვროს ბავშვის საცხოვრებელი ადგილი.

1.2. არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა სასამართლოს გადაწყვეტილებით

წინამდებარე ქვეთავში ვისაუბრეთ ისეთ შემთხვევაზე, როცა მშობელთა შეთანხმებით წყდებოდა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მოცემულ ქვეთავში კი ვისაუბრებთ მშობელთა შეუთანხმებლობის დროს საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრაზე სასამართლოსთვის მიმართვის გზით, რა დროსაც საქმის აღძვრა ხდება ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მოთხოვნის საფუძველზე.[16] ამასთან დაკავშირებით, ჩვენი კანონმდებლობა ამბობს, რომ შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილება სასამართლომ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღოს,[17] რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ მთავარი მშობლის სურვილი კი არა, ბავშვის ინტერესია. თუ მშობლები ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგო ქცევას ჩაიდენენ, ეს გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.[18] საინტერესოა, რას შეიძლება ითვალისწინებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, მეინის შტატში სასამართლომ პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს ბავშვის უსაფრთხოება და კეთილდღეობა და შემდეგ სხვა ფაქტორები, როგორიცაა: ბავშვის ასაკი; ბავშვსა მშობელს შორის არსებული ურთიერთობა; ბავშვის უპირატესობა, თუ ბავშვი საკმარისად დიდია უპირატესობის გამოხატვისთვის; იმ მშობლის საცხოვრებელი პირობების გათვალისწინება, რომელთანაც დარჩება აღსაზრდელად; თითოეული მშობლის შესაძლებლობა ითანამშრომლოს მეორე მშობელთან; მშობლებს შორის ოჯახში ძალადობის არსებობა და ნებისმიერი სხვა რამ, რასაც სასამართლო მიიჩნევს საჭიროდ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით,[19] ე.ი ბავშვის საუკეთესო ინტერესები ბევრ ფაქტორს უკავშირდება. ასევე, ცნობილია ისიც, რომ ამერიკის სხვადასხვა შტატში არასრულწლოვანთან დაკავშირებულ საქმეებს სპეციალურად შექმნილი არასრულწლოვანთა სასამართლოები იხილავდნენ[20] და დღემდე უმეტესად ასე მიმდინარეობს. ეს ვფიქრობ, ერთი მხრივ, სწორი მიდგომაცაა, რაზეც მსჯელობა ხშირად

15 გაეროს 1989 წლის „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [ბოლო წვდომა: 18 ოქტ, 2021]

16 შენგელია ე., შენგელია რ., (2011). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი: მერიდიანი, გვ. 173.

17 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მე-2 პუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [ბოლო წვდომა: 18 ოქტ, 2021]

18 შენგელია ე., შენგელია რ., (2011). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი: მერიდიანი, გვ. 170.

19 Judical branch state of Maine court desicion, იხ. <https://www.courts.maine.gov/courts/family/divorce-separation/decisions-children.html> [ბოლო წვდომა: 30 ნოემ, 2021]

20 Babb A. B., (1998). Fashioning an Interdisciplinary Framework for Court Reform in Family Law: A Blueprint to Construct a Unified Family Court, 71 S. Cal. L. Rev. 469, 532.

იყო იურიდიულ ლიტერატურაში, რადგან როდესაც საქმე არასრულწლოვანს და მის საუკეთესო ინტერესს ეხება, ასეთი საქმეების განხილვის დროს მოსამართლის როლი ბევრად დიდია, მას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, რომ მიიღოს არასრულწლოვნისთვის საუკეთესო და სამართლიანი გადაწყვეტილება.[21] საზღვარგარეთ მხედველობაში იღებდნენ იმასაც, რომ არასწრულწლოვნის უფლებები სპეციალური დაცვის ქვეშ უნდა ყოფილიყო საოჯახო-სამართლებრივ სფეროში და მის შესასწავლად ცალკე სასწავლო საგნად ჩამოყალიბების რეკომენდაციებს ადრიდანვე გასცემდნენ, რადგან ოჯახი აუცილებლად ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვის კეთილდღეობაზე.[22]

ჩვენი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია ისიც, რომ ასეთი დავების სასამართლოში განხილვისას, მშობელი ვერ იქნება ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი, საქმეში ერთვება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც წარმოადგენს ბავშვის ინტერესებს.[23] თუ საქმე ეხება ერთი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას, ამ დროს სასამართლო მას ერთ-ერთ მშობელს მიაკუთვნებს აღსაზრდელად, მაგრამ თუ საქმე რამდენიმე ბავშვს ეხება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის საფუძველზე, ბავშვები შესაძლოა საცხოვრებლად გადანაწილდნენ მშობლებთან,[24] თუმცა, გვაქვს პრაქტიკაში ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი მცირეწლოვანი მამასთან ცხოვრობს, ხოლო მეორე – დედასთან და სააპელაციო სასამართლო სპეციალისტის დასკვნის წარმოდგენის გარეშე მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანთა უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე და-ძმა ცალ-ცალკე არ უნდა იზრდებოდეს, თუმცა კასაციაში განიმარტა, რომ სსკ 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ამავე კოდექსის 1201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების შეუთანხმებლობისას, არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილს განსაზღვრავს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, ამიტომ, რადგანაც კანონი არ გვიდგენს დედის ან მამის უპირატესობას დავის გადაწყვეტისას, მდგომარეობა მარტო საბინაო-საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობებით არ უნდა შეფასდეს. ამდენად, დავის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრიორიტეტი უნდა განისაზღვროს არა მშობლების, არამედ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისად, აუცილებელია სპეციალისტების (ფსიქოლოგების) პროცესში მონაწილეობა და მათი დასკვნების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.[25]

განვიხილოთ სხვა პრაქტიკული მაგალითებიც არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისთვის, ვნახოთ და შევაფასოთ – რა ფაქტებს ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას. ავიღოთ უზენაესი სასამართლოს საქმე, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ (დედამ) სარჩელი აღძრა მოპასუხის (ბავშვის მამის) წინააღმდეგ და მოითხოვა მცირეწლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილად დედის (მოსარჩელის) საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. აგრეთვე, მოპასუხისათვის ალიმენტის, ყოველთვიურად 200 ლარის (ერთ ბავშვზე – 100 ლარი) დაკისრება ბავშვების სრულწლოვანების მიღწევამდე. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება შემდეგი ფაქტები: მოსარჩელე 2010 წლიდან ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხესთან და ჰყავთ ორი მცირეწლოვანი შვილი. მოპასუხე მეუღლესთან ხუთწლიანი თანაცხო-

21 Schepard A., Salem P., (2006). Foreword to the Special Issue on the Family Law Education Reform Project, 44 Fam. Ct. Rev. 513, 516.

22 Babb A. B., (2017). Another Look at the Need for Family Law Education Reform: One Law School's Innovations, 55 Family Court Review 59, 64.

23 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მე-2 პუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [ბოლო წვდომა: 20 ნოემ, 2021]

24 ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., (2000). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი: სამართალი, გვ. 177.

25 ბიზნეს-იურიდიული ცენტრი, განმარტებები და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი საოჯახო სამართლისსაკითხებზე, იხ. <https://blh.com.ge/forums/Topic/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/#post-1513> [ბოლო წვდომა: 15 დეკ, 2021]

ვრების პერიოდში ხშირად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს და მოსარჩელეს, შვილებისა და მშობლების თანდასწრებით, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, რის შედეგადაც მათი მცირეწლოვანი შვილები დათრგუნულები და შეშინებულები იყვნენ, არ ჰქონდათ აღზრდა-განათლებისათვის შესაფერისი პირობები. მორიგი ინციდენტის შემდეგ, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პოლიციას. უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა შეადგინა შემაკავებელი ორდერი, რომელიც 2015 წლის 5 დეკემბერს დაამტკიცა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ. მოპასუხეს ერთი თვით აეკრძალა მიახლოება მსხვერპლთან და მის ადგილსამყოფელთან. ასევე, მოსარჩელემ დატოვა ოჯახი და მცირეწლოვან შვილთან ერთად დაბრუნდა მამის ოჯახში. რაც შეეხება უფროს შვილს, მოსარჩელემ ვერ მოახერხა მისი წაყვანა მეუღლისა და მისი მშობლების წინააღმდეგობის გამო, შესაბამისად, იგი ითხოვს მის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას. რა თქმა უნდა, მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და თქვა, რომ სწორედ მოსარჩელის ცუდი დამოკიდებულება და შეურაცხყოფა იწვევდა მის მიერ ასეთ მოპყრობას, ასევე, მოსარჩელე შვილებს სცემდა და როდესაც მან ოჯახი დატოვა, ორივე შვილი თან წაიყვანა, შემდეგ უკან დაბრუნდა და უფროსი შვილი თავისი ნებით დატოვა მოპასუხის ოჯახში. ასევე, მოპასუხე აცხადებდა, რომ მის მცირეწლოვან შვილს გაუჭირდებოდა საცხოვრებლისა და საბავშვო ბაღის შეცვლა. ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ალიმენტის ნაწილში არ დააკმაყოფილა სარჩელი, რადგან მოპასუხე უმუშევარია და არ აქვს საკმარისი შემოსავლები, ხოლო ბავშვის საცხოვრებლის განსაზღვრაზე შეაჩერა და საქმეში ჩართო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი და მას დაევალა მცირეწლოვანი ბავშვისთვის წარმომადგენლის დანიშვნა, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს დაიცავდა ბავშვის ინტერესებს. ამასთან, მას დაევალა მოსარჩელის საცხოვრებელი პირობების შესწავლა, არამარტო მატერიალური, საბინაო, საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით, არამედ – ბავშვის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და აღზრდის ნორმალური პირობების შექმნის გათვალისწინებით და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა, რითაც ვასკვნით, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი ფაქტორია სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროს პირველი ინსტანციაში. როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1198-ე, 1197-ე, 1199-ე, 1200-ე, 1201-ე მუხლები, ასევე გამოიყენა „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-9, მე-3 მუხლები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი და სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მუხლები. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, ბავშვის ასაკის გათვალისწინებას, სხვა გარემოებებთან ერთად, გააჩნია მნიშვნელობა ბავშვის მოთხოვნილების განსაზღვრაში, მისი საცხოვრებელი ადგილის (დედასა თუ მამასთან) პრიორიტეტების დადგენაში. მცირეწლოვანი ბავშვისთვის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მშობლის ზრუნვა, სწორ ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბება, ბავშვის ნორმალური სოციალიზაცია.

ასაკთან ერთად სხვა საკითხებთან ერთობლიობაში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისთვის (მამასთან თუ დედასთან), ასევე, მნიშვნელობა აქვს ბავშვის სქესს. სწორედ არსებულ ეტაპზე ეყრება საფუძველი ბავშვის პიროვნულ ჩამოყალიბებას, რა დროსაც დედის ავტორიტეტის შელახვა და მასთან არასაკმარისი სიახლოვე დამღუპველი იქნება და უარყოფითად იმოქმედებს ინდივიდის ცხოვრების ფორმირებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ, ამასთან ერთად აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ ბავშვის მამის ოჯახში დარჩენის შემთხვევაში ბავშვი აღსაზრდელად ფაქტობრივად გადაეცემოდა მამის ბებიას, რადგან მამა მუშაობდა. იგი დღის განმავლობაში ბავშვთან არ იყო, გასული იყო ოჯახიდან სამუშაოდ და შვილს მის ბებიას უტოვებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი არ აკნინებდა ბებიის

როლს ბავშვის აღზრდაში, მაგრამ აღნიშნული ვერანაირად ვერ შეცვლიდა დედასთან შვილების ურთიერთობის აუცილებლობას. მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი გარემოებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პოზიციის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გააანალიზა რა ბავშვთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც, ერთ შემთხვევაში, ეხებოდა ბავშვის საცხოვრებელი ადგილისა და გარემოს შეცვლას და, მეორე შემთხვევაში – დედასთან დაშორებას, ასევე, გაითვალისწინა რა ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა: ბავშვის ასაკი, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობა, ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის შესაძლებლობა, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების ოჯახური მდგომარეობა, მიიჩნია, რომ დედის მიერ ბავშვის დატოვების მიზეზი გამოწვეული იყო დაძაბული სიტუაციით და ამ სიტუაციის სიმძიმემ განაპირობა ბავშვთან სრულყოფილი ურთიერთობის აღდგენის შეფერხება, რაც უნდა გამოსწორებულიყო და მცირეწლოვანი საცხოვრებელ ადგილად უნდა განსაზღვრულიყო დედის – მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი. მოპასუხემ კი გაასაჩივრა გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, თუმცა სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დამატებით მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ მყარ პრაქტიკაზე, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მორალურ და არა მატერიალურ მხარეს უნდა მიენიჭოს. ამასთან, არასრულწლოვანი და-ძმის დაცილება დასაშვებია მაშინ, როდესაც ეს აუცილებლობით არის გამოწვეული და მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არ აქვს შესაძლებლობა, შეუქმნას მას აღზრდის ნორმალური პირობები. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელაციამ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მოპასუხე კერძო სამუშაოებს ასრულებდა და მას ბებია სათანადოდ ზრდიდა, ასევე, არ გაითვალისწინა უმცროსი ბავშვის ემოციური მდგომარეობ ადა მიიჩნია, რომ მისთვის რთული იქნებოდა საცხოვრებლის შეცვლა, შესაბამისად დაავალა არასრულწლოვნის წარმომადგენელს, კვლავ შეესწავლათ მცირეწლოვნის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ ფსიქოლოგის დასკვნისა და, ასევე, თითოეული მშობლის მიმართ შვილის დამოკიდებულების ამსახველი შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა. დასკვნის წარმოდგენამდე კი დედამ დროებითი განკარგულების გაცემა მოითხოვა, რაც დაკმაყოფილდა. საბოლოოდ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ საცხოვრებლად დედის საცხოვრებელის განსაზღვრა სწორად მოხდა.[26]

აღნიშნული საქმე გვაჩვენებს იმას, თუ რამდენ ფაქტს ექცევა დიდი ყურადღება, ყველა ინსტანციის განმარტება გასათვალისწინებელია მშობლების მხრიდან. როდესაც საქმე გვაქვს მსგავსი ტიპის საქმეებთან, უმჯობესია, მათ წინასწარ ჰქონდეთ სავარაუდო წარმოდგენა მაინც, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს მათი საქმე, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ყოველ შემთხვევას სხვადასხვაგვარად წყვეტს და შეუძლებელია განისაზღვროს, რომელ ფაქტს უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს, თუმცა სამივე ინსტანცია საბოლოოდ მაინც თანხმდება იმაზე, რომ მატერიალური პირობების გამოსწორების პირობით, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ დედას არ აქვს საკმარისი სოციალური პირობები, ბავშვი მაინც უმჯობესია მან აღზარდოს, რადგან დედა-შვილის კავშირი შეუფასებელია.

1.3. დროებითი განკარგულების როლი ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით

როგორც ზემოაღნიშნულიდან გამოირკვა, არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებულ სასამართლოში წარმოებულ საქმეებში ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა ერთ-ერთი მშობელი ითხოვს დროებითი განკარგულების გამოცემას და შვილის საცხოვრებლად დროებით მასთან დატოვებას, სანამ სასამართლო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.[27]

მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო გამოსცემს დროებით განკარ-

26 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება № ას-1139-1095-2016. იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [ბოლო წვდომა: 14 ოქტ, 2021]

27 იქვე.

გულებას, რომლის მოწესრიგების ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის,[28] მას აქვს სასამართლო განჩინების ფორმა, რომელიც მხარეთა შეუტყობინებლად მიიღება ზეპირი განხილვის გარეშე, თუმცა, თუ სასამართლო საჭიროდ ჩათვლის, შესაძლოა მხარის შეტყობინებითა და მათი მონაწილეობით განიხილოს.[29]

აქ გვხვდება მეორე პრობლემური საკითხი, კერძოდ ის, თუ რამდენად ითვალისწინებს სასამართლო ბავშვის შეხედულებას. თუ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყდა, რა თქმა უნდა, ბავშვის აზრი ვერ იქნება მოსმენილი, თუმცა შესაძლოა, განიხილოს საქმე მხარეთა მონაწილეობით, მაგრამ ბავშვი მაინც არ იყოს მოსმენილი. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც მოსამართლემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს არასრულწლოვნის შეხედულება, იქნებ მას არ სურს, თუნდაც დროებით იყოს იმ მშობელთან, რომელთან ყოფნაც განკარგულებით დაუწესდა, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული. სასამართლოს დროებითი განკარგულება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გამოიყენება და ქვეყნები ძირითადად თანხმდებიან იმაზე, რომ იგი ისე უნდა მიიღოს სასამართლომ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი აუცილებლად იყოს დაცული.[30]

უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში კარგად ხსნის იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესი თითოეულ მასთან დაკავშირებულ საქმეზე *„ამოსავალი პრინციპია ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ყოველთვის ბავშვის უფლებებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების შესაფერისი მიღება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოდავე მხარეებიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, უთითებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობაზე, რაც სასამართლოს არწმუნებს, რომ მშობლები სწორედ არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებენ წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისას და თითოეული მათგანი შვილის უპირატეს ინტერესს აღიარებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის უზენაესობა ყოველთვის გადასწონის მშობლის უფლებასა და ინტერესს“.*[31]

დროებითი განკარგულების მიღების დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა ის შემთხვევა, რაც ზემოთ მოყვანილ საქმეში აღვწერე, ასევე, ბავშვს აუცილებლად უნდა დაენიშნოს ფსიქოლოგი, რომელიც შეისწავლის მის ფსიქიკურ მდგომარეობას და წარმოადგენს შესაბამის დასკვნას. ასევე, პროცესში უნდა ჩაერთოს სოციალური სამსახურიც, რათა არ იქნას კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული ბავშვის საუკეთესო ინტერესი,[32] რადგანაც საქართველოს კანონმდებლობა ცდილობს, თუმცა ნამდვილად არ ასახავს *„ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითად ელემენტებს“*.[33] სასამართლომ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობით, აუცილებლად უნდა დაუნიშნოს ბავშვს წარმომადგენელი, რომელიც პროცესზე მის უფლებებს წარმოადგენს.

---

28 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [ბოლო წვდომა: 15 ნოემ, 2021]

29 ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., (2007). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი: სამართალი, გვ. 600.

30 დროებითი განკარგულების არსი და მნიშვნელობა საოჯახო სამართლის დავებში აშშ-ს სამართლის მიხედვით, პასუხები აქტუალურ თემებზე, იხ. <https://etheringtons.com.au/interim-orders-and-interim-proceedings-in-family-law/> [ბოლო წვდომა: 15 ნოემ, 2021]

31 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-967-916-2015. <https://www.supremecourt.ge/ganmartebebi/> [ბოლო წვდომა: 15 ნოემ, 2021]

32 ნოზაძე ა., (2020). დროებითი განკარგულება, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, გვ. 38.

33 გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, (2017). ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა, იხ. <https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf> [ბოლო წვდომა: 28 ნოემ, 2021].

წარმომადგენელი ვალდებულია, უპირატესად დააყენოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი, რაც თავისთავად მისი აზრის მოსმენასა და გათვალისწინებას გულისხმობს, რადგან *„ბავშვს უნდა მოვეპყროთ როგორც თანასწორს, მოვისმინოთ და გავითვალისწინოთ მისი მოსაზრებები, სურვილები“*,[34] ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ *„ბავშვი არის პიროვნება, რომელსაც აქვს უფლება, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილებები“*.[35] არასრულწლოვანთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც შემდეგს ამბობს: *„არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს“*.[36] შესაბამისად, სასამართლოს კანონი აკისრებს ვალდებულებას გაითვალისწინოს ყველა ფაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს, ვისთან დარჩება არასრულწლოვანი საცხოვრებლად დროებით.

2. განქორწინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლება-მოვალეობანი მათი არასწრულწლოვანი შვილების მიმართ

წინამდებარე ქვეთავებში ვისაუბრეთ არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის პრობლემაზე მშობელთა განქორწინების ან ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში, ამ დროს მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ მშობლებს მათი არასრულწლოვანი შვილების მიმართ. ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობა წარმოეშობათ.[37] წყვილის განქორწინება, ცალ-ცალკე ცხოვრება ან ბავშვის საცხოვრებელ ადგილად ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებლის განსაზღვრა გავლენას არ ახდენს მშობლის უფლებაზე – თანაბრად მიიღოს მონაწილეობა შვილის აღზრდაში. ამისდა მიუხედავად, ხშირად გვხვდება ისეთი ფაქტებიც, როდესაც გაღიზიანებული მშობელი, მეორე მშობელს შურისძიების ან სხვა მოტივის გამო არ აძლევს მას საშუალებას – შვილი მოინახულოს. რა თქმა უნდა, მას ამის უფლება არ აქვს, ეს ნიშნავს, რომ იგი უზღუდავს მას მშობლის უფლება-მოვალეობას, რაც თავისთავად ლახავს შვილის უფლებასაც – მოინახულოს ცალკე მცხოვრები მეორე მშობელი, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის ინტერესსაც.[38] სწორედ, ამდაგვარი შეზღუდვა იწვევს ხოლმე ცალკე მცხოვრები მშობლის მხრიდან სასამართლოსთან მიმართვის აუცილებლობას, რა დროსაც მშობელი ითხოვს ბავშვის სანახავად ან ცალკეული დღეების გამოყოფას ან, უკიდურეს შემთხვევაში, მშობლის უფლების ჩამორთმევას. ასეთი შემთხვევები მაშინ წარმოიშობა, როდესაც მშობლებმა თავიანთი შეთანხმებით განსაზღვრეს ბავშვის საცხოვრებელი ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქმე სასამართლომდე მივიდა, აქ მოსარჩელე მშობელი ბავშვის სანახავად დღეების გამოყოფას მოითხოვდა, თუ არასრულწლოვანს მასთან არ განუსაზღვრავდნენ აღსაზრდელად დარჩენას.

ფაქტების დასადასტურებლად და იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად გამართლებულია ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ასეთი შეზღუდვა, საქმეში კვლავ ერთვება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.[39] აქ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლი ფაქტების სწორად დასადგენად ძალიან დიდია, რადგან მათ უნდა გამოიკვლიონ, თუ რატომ უზღუდავს მშობელი მეორე მშობელს ბავშვს ნახვის უფლებას, ხომ არ აკეთებს ამას შვილის სასარგებლოდ. თუ დადგინდა

34 ევროკავშირი საქართველოსთვის და უნისეფის ერთობლივი პროექტი, (2016). ადამიანის უფლებები ყველასთვის ფარგლებში, სოციალური ნორმების ანალიზი (კვლევა) ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში, გვ. 35. იხ. <სოციალური ნორმების ანალიზი.pdf> [ბოლო წვდომა: 17.11.2021]

35 იქვე.

36 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2511 მუხლის 1-ლი პუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149> [ბოლო წვდომა: 17 ნოემ, 2021]

37 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის 1-ლი პუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [ბოლო წვდომა: 17 ნოემ, 2021]

38 ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., (2000) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი: სამართალი, გვ. 178.

39 იქვე.

ის ფაქტი, რომ შეზღუდვა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ხდება, მაშინ იგი გამართლებულია. მაგ: მეორე მშობლის ნახვით ბავშვს უზიანდება ჯანმრთელობა და ფსიქიკა, უარყოფით გავლენას ახდენს მშობელთან შეხვედრა, ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის მორალურ და ზნეობრივ განვითარებას. თუ ყველა ეს ფაქტი სათანადოდ დამტკიცდა, რა თქმა უნდა, სასამართლო მშობელს არ დაუკმაყოფილებს მოთხოვნას, რომელმაც დავა აღძრა და შეუზღუდავს ბავშვის ნახვის უფლებას გარკვეული ვადით ან უარეს შემთხვევაში, ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე. თუმცა თუ დადასტურდება ის ფაქტი, რომ მშობელი, რომელთანაც ბავშვის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა, არ აძლევს ცალკე მცხოვრებ მშობელს ბავშვის ნახვის უფლებას, რადგან პირადად მასთან აქვს ცუდი ურთიერთობა ან კონფლიქტი, ამან გავლენა არ უნდა მოახდინოს ბავშვზე და არ უნდა აუკრძალოს შვილის ნახვა.

მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დადგენილ ფაქტად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში სწორად იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოპასუხის (დედის) განცხადება იყო უსაფუძვლო, სადაც იგი ამბობდა, რომ თუ მამა ბავშვს კვირაში ერთხელ ორი საათით თავისთან წაიყვანდა ბავშვს, იგი მიუჩვეველ, უცხო გარემოში მოხვდებოდა და ეს სწორად აღზრდა-განვითარებას შეუშლიდა ხელს, ასევე, ჩამოუყალიბებდა მავნე ჩვევებს. მოსარჩელე მშობლის მოთხოვნა სასამართლომ დააკმაყოფილა და დაუდგინა შვილთან განსაზღვრული დროით ურთიერთობა.[40]

მიმაჩნია, რომ მსგავსი საქმეების გადაწყვეტისას, სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ბავშვის შეხედულებაც იმის თაობაზე, სურს თუ არა ცალკე მცხოვრები მშობლის ნახვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება სულაც არ მოდიოდეს წინააღმდეგობაში მის აღზრდა-განვითარებასთან, თუნდაც იმის გამო, რომ ცალკე მცხოვრები მშობელი იჩენს შვილის მიმართ მკაცრ დამოკიდებულებას რიგ საკითხებში, რაც შვილს არ მოსწონს და აღარ უჩენს სურვილს ნახოს მშობელი. როგორც ვიცით *„შვილების აღზრდა მშობლებისაგან დიდ ენერგიას, ყურადღებას და პატივისცემას მოითხოვს. ბავშვი თავშესაქცევი საგანი არ არის. მის აღზრდას მუდმივი ზრუნვა და ყურადღება ესაჭიროება. იგი მომავალი მოქალაქეა, ამიტომ მშობლები პასუხს აგებენ მის სწორად აღზრდაზე. აღზრდის დროს არ შეიძლება წვრილმანი და ნეიტრალური მოვლენები არსებობდეს. აღზრდას მშობელთა უდიდესი პასუხისმგებლობა ახლავს“*,[41] ამიტომ თითოეული მშობელი უნდა აცნობიერებდეს მის წილ პასუხისმგებლობას ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით და ყველა გადაწყვეტილება, რომელიც საკუთარ შვილს ეხება, უნდა მიიღოს აუცილებლად გაცნობიერებულად.

საინტერესოა ის საკითხიც, შეუძლიათ თუ არა მშობლებს წერილობით განსაზღვრონ ბავშვთან ურთიერთობის წესი და უფლება-მოვალეობანი იმ მშობლის თანხმობით, ვისგანაც შვილი ცალკე ცხოვრობს. ჩნდება შეკითხვაც, შეიძლება თუ არა ასეთ შეთანხმებას მივანიჭოთ ხელშეკრულების კვალიფიკაცია? თუ ასეთ შეთანხმებებს ხელშეკრულების ფორმას მივანიჭებთ, მაშინ შეგვიძლია მისგან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისთვის ან შეუსრულებლობისთვის მხარეებს-მშობლებს პასუხისმგებლობა დავაკისროთ.[42]

ამის მარტივ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ვითარება: თუ მშობელი შვილის სანახავად მისი საცხოვრებელი ადგილიდან შორ მანძილზე წავა და მეორე მშობელი მას შვილის ნახვის უფლებას არ მისცემს, მაშინ მას შეუძლია მოსთხოვოს აქედან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება გზის ხარჯების საფასურის გადახდის სახით.[43] ვფიქრობ, მსგავსი მიდგომა კარგი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, თუ ამას ექნება ბავშვისთვის სასიკეთო მიზანი, მაგრამ მაინც მიზანშეუწონლად მიმაჩნია ასეთი შეთანხმებების არსებობა, მითუმეტეს, მათი ხელშეკრულების სახის მიცემა, რადგან არ მიმაჩნია

40 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმე #ას-1809 – 1783-2011. იხ. <https://temida.ge/fullcase/1102/--.pbn> [ბოლო წვდომა: 20 დეკ, 2021]

41 შოშიაშვილი ნ., (2002) საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, თბილისი: სამართალი #4, გვ. 15.

42 ჯაფარიძე ქ., (2015). მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, გვ. 111.

43 იქვე.

სწორად, მშობლებმა თავად განსაზღვრონ ბავშვთან შეუთანხმებლად (თუ, რა თქმა უნდა, ბავშვს შეუძლია გამოხატოს მისი აზრი), რა იქნება მისთვის სასიკეთო და რა ზიანის მომტანი. ასეთ შეთანხმებებში, შესაძლოა მეტად გამოიხატოს მშობლების მიზნები და სამომავლო გეგმები, ვიდრე ბავშვებისა. მართალია, ბავშვთან დაკავშირებული საკითხები მშობლების მიერ ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყდეს და მითუმეტეს მაშინ, თუ იგი დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს და დიდი ხნით ეხებოდეს ბავშვის უფლებებს,[44] მაგრამ ამ ყველაფრის ჩამოყალიბება წერილობითი შეთანხმების სახით არ იქნება გამართლებული მათი მხრიდან.

ცალ-ცალკე მცხოვრები დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში, ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე საინტერესო პრაქტიკას გვთავაზობს გერმანიის კანონმდებლობა, მათი კოდექსის მიხედვით თუ მშობლები არ არიან ქორწინებაში ბავშვის დაბადების დროს და არც შემდგომ დაქორწინდებიან, ბავშვზე ზრუნვას დედა ახორციელებს, რომელიც აკეთებს შესაბამის განცხადებას რაიმე პირობით ან ვადის დადგენით. განცხადებას ოფიციალური სახე აქვს და მოითხოვს დამოწმებას.[45] ეს ნიშნავს იმას, რომ ბავშვზე ოფიციალურად ზრუნვას დედა ახორციელებს, თუმცა არ გამორიცხავს მამის მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში, რომელსაც ისინი ბავშვის საკეთილდღეო მიზნებისთვის ახორციელებენ, მშობლები აქაც, როგორც ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, თანაბრად ახორციელებენ არასრულწლოვან შვილზე ზრუნვას და შეუთანხმებლობის დროს დავას წყვეტს სასამართლო.[46]

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ იმ მშობელს, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს, არ აქვს უფლება – ცალკე მცხოვრებ მშობელს შეუზღუდოს ბავშვის ნახვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ცუდად მოქმედებს ბავშვზე, რაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. მშობლები თანაბრად არიან ვალდებულნი, იზრუნონ თავიანთ არასრულწლოვან შვილზე, მიუხედავად იმისა, ცხოვრობენ თუ არა ერთად. სააპელაციო სასამართლო მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ამბობს იმასაც, რომ მშობელს არათუ ბავშვის ნახვის შეზღუდვის უფლება აქვს ცალკე მცხოვრები მშობლის მიმართ, არამედ იმის უფლებაც არ აქვს – მეორე მშობელი ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიოს ბავშვთან, რაც ბავშვზე ფსიქოლოგიურ ძალადობად აღიქმება.[47] გარდა იმისა, რომ მშობლები არიან ვალდებულნი იზრუნონ შვილზე, ასევე, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება – შექმნას ქვეყანაში ისეთი სოციალური პირობები, რომ ბავშვი აღიზარდოს ჯანსაღ გარემოში.

დასკვნა

აღნიშნული სტატიით შეიქმნა შეძლებისდაგვარად სრულყოფილი გზამკვლევი, იმ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ, რაც გულისხმობს „არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის და უფლება-მოვალეობების განსაზღვრას მშობელთა განქორწინებისას“. რადგან სახელმწიფოები იღებენ საკუთარ თავზე ვალდებულებას როგორც კანონმდებლობით, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომ მათთვის მთავარ ღირებულებას ადამიანი წარმოადგენდეს, მნიშვნელოვანია, მათ იზრუნონ ისეთ საკითხზე, როგორიცაა არასრულწლოვნის უფლებები. საკითხმა გვაჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში მეტნაკლებად დაცულია ბავშვთა უფლებები, თუმცა კანონმდებლობის ზოგიერთი ნორმა მოითხოვს სრულყოფასა და დახვეწას. ნაშრომში განვითარებული მსჯელობებით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ის რეკომენდაციები, რომელიც როგორც მშობლების

44 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, Johansen v. Norway. <https://www.globalhealthrights.org/wp-content/uploads/2015/01/JOHANSEN-v.-NORWAY.pdf> [ბოლო წვდომა: 22 ნოემ, 2021]

45 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1626ა, 1626ბ მუხლები. <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [ბოლო წვდომა: 22 ნოემ, 2021]

46 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1627-ე მუხლი. <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [ბოლო წვდომა: 22 ნოემ, 2021]

47 გოგუაძე ს., (2019). მშობელსა და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, გვ. 49.

მხრიდან, ასევე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან თუ უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილისა და მშობლის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა შედარებით გამარტივდება:

- როგორც ცნობილია, სასამართლო მანამ, სანამ გადაწყვეტს, თუ რომელ მშობელთან განუსაზღვრავს არასრულწლოვანს საცხოვრებელ ადგილს, მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტობრივ გარემოებას, მათ შორის, მშობელთა მატერიალურ პირობებს, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ვფიქრობ, მატერიალური პირობების გამორკვევაზე მეტად, სასამართლომ უპრიანია, მნიშვნელობა მიანიჭოს – რომელ მშობელთან უკეთესი ურთიერთობა აქვს არასრულწლოვანს, რადგან არ გახდეს მეორეხარისხოვანი ბავშვის საუკეთესო ინტერესი; სპეციალური ორგანოებისა და პირების ჩართულობით მხოლოდ ამის გამორკვევის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს, ვისთან დატოვოს არასრულწლოვანი აღსაზრდელად;
- ხშირად საკამათოა ხოლმე როგორ გადაწყდეს შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვნისა და შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვნის საცხოვრებლის განსაზღვრის საკითხი. ვფიქრობ, თუ ბავშვი არის იმ ასაკში, რომ უკვე თავისუფლად შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი, თუნდაც იყოს შვიდ წლამდე მცირეწლოვანი, მისი აზრი აუცილებლად უნდა იყოს მოსმენილი, მიუღებლად მიმაჩნია სასამართლოს მხრიდან, თუნდაც დროებითი განკარგულების გამოცემის დროს, საქმის გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე. ჩემი აზრით, ამით იზღუდება, როგორც მხარის, ასევე, პირველ რიგში, არასრულწლოვნის უფლებები, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, სასამართლომ შესაბამისი პირების ჩართულობით აუცილებლად მოისმინოს არასრულწლოვნის აზრი, თუ მას შეუძლია მისი გამოხატვა;
- არასრულწლოვნის მშობლებს შორის დავის არსებობისას, სასამართლომ, ვფიქრობ, მხედველობაში უნდა მიიღოს იმ მშობლის საცხოვრებელი გარემოც, ვისაც ბავშვს დაუტოვებს აღსაზრდელად. ამაში ვგულისხმობ. თუ ვისთან ერთად იცხოვრებენ არასრულწლოვანი და მისი მშობელი, რადგან თუ მარტო აპირებენ ცხოვრებას, მეორე მშობლის მხრიდან შესაძლოა ზეწოლას და შევიწროებას ჰქონდეს ადგილი. ასევე, მხედველობაში უნდა მიიღოს ისიც. აქვს თუ არა პოლიციას რომელიმე მშობლის მიმართ შემაკავებელი ორდერი გაცემული და რა მიზეზით, ასევე ისიც, ამის შემდეგ კვლავ ხომ არ გრძელდებოდა ორდერით გათვალისწინებული წესების დარღვევაც, ეს სასარგებლო იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესისთვის;
- ხშირად გვხვდება ისეთი სასამართლო პრაქტიკა, როდესაც საქმე ეხება ერთზე მეტი არასრულწლოვნის საცხოვრებლის განსაზღვრას და სასამართლო ბავშვებს მშობლებს შორის ანაწილებს, რათა მშობლებს შვილების მიმართ თანაბარუფლებიანად მიიჩნევს. ეს ბადებს შეკითხვას, ხომ არ ილახება ბავშვის საუკეთესო ინტერესი? ვინაიდან ჩვენთვის უპირატესია ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ამიტომ სასამართლომ საქმე სწორედ მათ სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს. თუ შესაძლებელია ბავშვმა დააფიქსიროს მისი აზრი, იგი აუცილებლად უნდა იქნას მოსმენილი და რომელ მშობელთანაც ჩათვლის ცხოვრებას უკეთესს, რა თქმა უნდა, სასამართლომ ისე უნდა განუსაზღვროს საცხოვრებელი, მაგრამ თუ მას არ შეუძლია აზრის გამოხატვა, ვფიქრობ, დედმამიშვილები ერთმანეთს არ უნდა დააშოროს და ერთ მშობელს მიაკუთვნოს. პრაქტიკაში შეგვხვდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც სპეციალისტის ჩართულობის გარეშე, სასამართლომ თავად გადაწყვიტა, თუ ვისთან უნდა დარჩენილიყო არასრულწლოვანი აღსაზრდელად და მიიჩნია, რომ და-ძმა ერთმანეთს არ უნდა დაშორებულიყო. ასეთ დროსაც, მაინც აუცილებლად ვთვლი სპეციალისტის ჩართულობით ბავშვის აზრის გათვა-

ლისწინებას, თუ ეს შესაძლებელია;

- ვფიქრობ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არასრულწლოვნის საცხოვრებლის განსაზღვრისას დედა-შვილს შორის განსაკუთრებული კავშირის არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მამას ჰქონდეს ბევრად საუკეთესო პირობები ბავშვის აღსაზრდელად. ვთვლი, რომ დედას შვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დააშორონ, თუ ეს განსაკუთრებით საზიანოდ იმოქმედებს ბავშვის აღზრდაზე;
- შვილების მიმართ მშობლების უფლებებისა და მოვალეობების თავში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლში, დავამატებდი შემდეგ წინადადებებს: მშობლებს შორის არსებულმა კონფლიქტმა გავლენა არ უნდა იქონიოს ბავშვის აღზრდაზე. ასევე, იმასაც, რომ ერთმა მშობელმა მეორე მშობელი არავითარ შემთხვევაში ნეგატიურად არ მოიხსენიოს ბავშვის თანდასწრებით. ვფიქრობ, ამით ბევრად ჰარმონიული ურთიერთობა ჩამოყალიბდება მშობლებსა და შვილებს შორის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მშობლები განქორწინებას, ცალ-ცალკე ცხოვრებას და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას გადაწყვეტენ, ბავშვი ბევრად უკეთ შეძლებს გამოხატოს თავისი აზრი და მისი საუკეთესო ინტერესი დაცული იქნება;
- ვფიქრობ, არ შეიძლება არანაირი წერილობითი ფორმის ხელშეკრულება დაიდოს მშობლებს შორის და ამით განისაზღვროს მათი მოვალეობები შვილების მიმართ. ამით მეტად გამოიხატება მშობლების ამბიციები, ვიდრე შვილის საუკეთესო ინტერესი. თუ დავა წარმოიშობა, ერთადერთი, ვისაც შეუძლია განსაზღვროს შვილების მიმართ მშობლის ურთიერთობის წესი, ეს არის სასამართლო და აქაც, მნიშვნელოვნად მიმაჩნია ისეთი პირობებით მოხდეს ურთიერთობის განსაზღვრა, რომ უპირატესი ბავშვის ინტერესი იყოს, ხოლო შემდგომ, მშობელთა თანასწორუფლებიანობა შვილების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია ჩემს მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციების გათვალისწინება, როგორც დაინტერესებული პირების, ასევე, სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის კიდევ უფრო მეტად დაახლოებას საერთაშორისო კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგუაძე ს., (2019). მშობელსა და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი.
2. ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., (2000). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი: სამართალი.
3. ლაზარიშვილი ქ., (2019). საოჯახო დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი თავისებურებანი, როგორც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის წინაპირობა, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი.
4. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., (2007). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი: სამართალი.

BIBLIOGRAPHY:

Used literature:

1. Babb A. B., (2017). Another Look at the Need for Family Law Education Reform: One Law School's Innovations. (In English)
2. Babb A. B., (1998). Fashioning an Interdisciplinary Framework for Court Reform in Family Law: A Blueprint to Construct a Unified Family Court. (In English)
3. Finkelhor D., (2020) Trends in Adverse Childhood Experiences (ACEs) in the United States, Child Abuse & Neglect international journal, United States. (In English)
4. Goguadze S., (2019). Some Aspects of Legal Relations between Parent and Child, Master Thesis, Tbilisi. (In Georgian)
5. Japaridze St., (2015). Personal and property re-

5. ნოზაძე ა., (2020). დროებითი განკარგულება, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი.
6. შენგელია ე., შენგელია რ., (2011). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი: მერიდიანი.
7. შოშიაშვილი ნ., (2002). საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, თბილისი: სამართალი #4.
8. ჯაფარიძე ქ., (2015). მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი.
9. Babb A. B., (1998) Fashioning an Interdisciplinary Framework for Court Reform in Family Law: A Blueprint to Construct a Unified Family Court.
10. Babb A. B., (2017). Another Look at the Need for Family Law Education Reform: One Law School's Innovations.
11. Finkelhor D., (2020). Trends in Adverse Childhood Experiences (ACEs) in the United States, Child Abuse & Neglect international journal, United States.
12. Kovacek-Stanic G., (2009). Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home.
13. Schepard A., Salem P., (2006). Foreword to the Special Issue on the Family Law Education Reform Project.

სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [ბოლო წვდომა: 18 ოქტ, 2021]
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [ბოლო წვდომა: 15 ნოემ, 2021]
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149> [ბოლო წვდომა: 17 ნოემ, 2021]
4. ბავშვის უფლებათა კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [ბოლო წვდომა: 18 ნოემ, 2021]
5. გაეროს 1989 წლის „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [ბოლო წვდომა: 18 ოქტ, 2021]
6. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [ბოლო წვდომა: 22 ნოემ, 2021]

ელექტრონული რესურსი:

1. ბიზნეს-იურიდიული ცენტრი, განმარტებები და სასამართლო გადაწყვეტილებების

lations of parents and children, doctoral thesis, Tbilisi. (In Georgian)
6. Kovacek-Stanic G., (2009). Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home. (In English)
7. Lazarishvili K., (2019). Procedural Legal Peculiarities of Family Dispute Resolution as a Prerequisite for Protecting the Best Interests of a Juvenile, Master Thesis, Tbilisi. (In Georgian)
8. Liluashvili T., Khrustali V., (2007). Comments of the Civil Procedure Code, Second Revised Edition, Tbilisi: Law Publishing House. (In Georgian)
9. Nozadze A., (2020). Temporary Ordinance, Master Thesis, Tbilisi. (In Georgian)
10. Schepard A., Salem P., (2006). Foreword to the Special Issue on the Family Law Education Reform Project. (In English)
11. Shengelia E., Shengelia R., (2011). Family and Inheritance Law, Tbilisi: Meridiani Publishing House. (In Georgian)
12. Shoshiashvili N., (2002). For Improving Family Law, Tbilisi: Law Publishing House # 4. (In Georgian)
13. Zoidze B., Chanturia L., (2000). Commentary on the Civil Code of Georgia, Book Five, Tbilisi: Law Publishing House. (In Georgian)

Legal Acts

1. Constitution of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Last seen: 18 Oct, 2021] (In Georgian)
2. Civil Code of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [Last seen: 15 Nov, 2021] (In Georgian)
3. Civil Procedure Code of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149> [Last seen: 17 Nov, 2021] (In Georgian)
4. Civil Code of German. <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [Last seen: 22 Nov, 2021] (In Georgian)
5. Code of the Rights of the Child. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [Last seen: 18 Nov, 2021] (In Georgian)
6. 1989 UN Convention of the Rights of the Child. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [Last seen: 18 Oct, 2021] (In Georgian)

Electronic resource:

1. Business Legal Center, Clarifications and Analysis of Court Decisions on Family Law Issues, < ob. <https://blh.com.ge/forums/Topic/%E1%83%

ანალიზი საოჯახო სამართლის საკითხებზე, <https://blh.com.ge/forums/Topic/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/#post-1513> [ბოლო წვდომა: 17 დეკ, 2021].
2. დროებითი განკარგულების არსი და მნიშვნელობა საოჯახო სამართლის დავებში აშშ-ს სამართლის მიხედვით, პასუხები აქტუალურ თემებზე, <https://etheringtons.com.au/interim-orders-and-interim-proceedings-in-family-law/> [ბოლო წვდომა: 15 ნოემ, 2021]

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება № ას-1139-1095-2016; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [ბოლო წვდომა: 14 ოქტ, 2021]
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-967-916-2015; <https://www.supremecourt.ge/ganmartebebi/> [ბოლო წვდომა: 15 ნოემ, 2021]
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმე #ას-1809 – 1783-2011; <https://temida.ge/fullcase/1102/--.pbn> [ბოლო წვდომა: 20 დეკ, 2021]
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, Johansen v. Norway; <https://www.globalhealthrights.org/wp-content/uploads/2015/01/JOHANSEN-v.-NORWAY.pdf> [ბოლო წვდომა: 22 ნოემ, 2021]

გამოყენებული კვლევები:

1. გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, (2017). ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა. <https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf> [ბოლო წვდომა: 28 ნოემ, 2021]
2. ევროკავშირი საქართველოსთვის და უნისეფის ერთობლივი პროექტი, (2016) ადამიანის უფლებები ყველასთვის ფარგლებში, სოციალური ნორმების ანალიზი (კვლევა) ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში. <სოციალური ნორმების ანალიზი.pdf> [ბოლო წვდომა: 17 ნოემ, 2021]

A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/#post-1513> [Last seen: 17.12.2021] (In Georgian)
2. The essence and significance of an interim injunction in family law disputes under U.S. law, answers to topical issues, <https://etheringtons.com.au/interim-orders-and-interim-proceedings-in-family-law/> [Last seen: 15.11.2021] (In English)

Court Decision:

1. Decision of the Supreme Court of Georgia of September 25, 2017 #AS-1139-1095-2016; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [Last seen: 14 Oct, 2021] (In Georgian)
2. Judgment of the Supreme Court of Georgia of February 25, 2016 #AS-967-916-2015; <https://www.supremecourt.ge/ganmartebebi/> [Last seen: 15 Nov, 2021] (In Georgian)
3. Decision of the Supreme Court of Georgia of 22 August 2012, Case #AS-1809 – 1783-2011; <https://temida.ge/fullcase/1102/--.pbn> [Last seen: 20 Dec, 2021] (In Georgian)
4. Judgment of the European Court of Human Rights, Johansen v. Norway, <https://www.globalhealthrights.org/wp-content/uploads/2015/01/JOHANSEN-v.-NORWAY.pdf> (In English) [Last seen: 22 Nov, 2021]

Used Researches:

1. UNICEF Study, (2017). Child-Friendly Justice, Legislation Research, <https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf> [Last seen: 28 Nov, 2021] (in Georgian)
2. EU for Georgia and UNICEF Joint Project, Human Rights for All, (2016). Analysis of Social Norms (Research) in the Context of Violence against Children, <სოციალური ნორმების ანალიზი.pdf> [Last seen: 17 Nov, 2021] (in Georgian)

NOTES:

1. Civil Code of Georgia, article 1122. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [Last seen: 15 Oct, 2021]
2. Ibid., Article 1201.
3. Ibid., Article 1202.
4. Zoidze B., Chanturia L., (2000). Commentary on the Civil Code of Georgia, Book Five, Tbilisi: Law Publishing House, p. 175.
5. Finkelhor D., (2020). Trends in Adverse Childhood Experiences (ACEs) in the United States, Child Abuse & Neglect international journal, United States. p. 4.
6. Shengelia E., Shengelia R., (2011). Family and Inheritance Law, Tbilisi: Meridiani Publishing House, p. 174.
7. Zoidze, B., Chanturia L., (2000). Commentary on the Civil Code of Georgia, Book Five, Tbilisi: Law Publishing House. p. 171.
8. Business Legal Center, Clarifications and Analysis of Court Decisions on Family Law Issues, <https://blh.com.ge/forums/Topic/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/#post-1513> [Last seen: 17 Dec, 2021]
9. Kovacek-Stanic, G., (2009). Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, p. 641.
10. Lazarishvili, K., (2019). Procedural Legal Peculiarities of Family Dispute Resolution as a Prerequisite for Protecting the Best Interests of a Juvenile, Master Thesis, Tbilisi, p. 27.
11. Constitution of Georgia, article 17(1). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Last seen: 18 Oct, 2021]
12. Code of the Rights of the Child, article 8(2). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [Last seen: 18 Oct, 2021]
13. Ibid., Article 12(1).
14. Lazarishvili, K., (2019). Procedural Legal Peculiarities of Family Dispute Resolution as a Prerequisite for Protecting the Best Interests of a Juvenile, Master Thesis, Tbilisi, p. 32.
15. 1989 UN Convention of the Rights of the Child, article 12(2). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [Last seen: 18 Oct, 2021]
16. Shengelia, E., & Shengelia R., (2011). Family and Inheritance Law, Tbilisi: Meridiani Publishing House, p. 173.
17. Civil Code of Georgia, article 1201(2). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [Last seen: 18 Oct, 2021]
18. Shengelia, E., & Shengelia, R., (2011). Family and Inheritance Law, Tbilisi: Meridiani Publishing House, p. 170.
19. Judical branch state of Maine court desicion, <https://www.courts.maine.gov/courts/family/divorce-separation/decisions-children.html> [Last seen: 30 Nov, 2021]
20. Babb, A. B., (1998). Fashioning an Interdisciplinary Framework for Court Reform in Family Law: A Blueprint to Construct a Unified Family Court, p. 532.
21. Schepard, A., (2006). Salem P., Foreword to the Special Issue on the Family Law Education Reform Project, p. 516.
22. Babb A. B., (2017). Another Look at the Need for Family Law Education Reform: One Law School's Innovations, p. 64.
23. Civil Code of Georgia, article 1201(2). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [Last seen: 20 Nov, 2021]
24. Zoidze, B., & Chanturia L., (2000). Commentary on the Civil Code of Georgia, Book Five, Tbilisi: Law Publishing House, p. 177.
25. Business Legal Center, Clarifications and Analysis of Court Decisions on Family Law Issues, <https://blh.com.ge/forums/Topic/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83

%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/#post-1513> [Last seen: 15 Dec, 2021]
26. Decision of the Supreme Court of Georgia of September 25, 2017 #AS-1139-1095-2016. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [Last seen: 14 Oct, 2021]
27. Ibid., p. 9.
28. Civil Procedure Code of Georgia, article 355(1). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [Last seen: 15 Nov, 2021]
29. Liluashvili T., & Khrustali V., (2007). Comments of the Civil Procedure Code, Second Revised Edition, Tbilisi: Law Publishing House, p. 600.
30. The essence and significance of an interim injunction in family law disputes under U.S. law, answers to topical issues, <https://etheringtons.com.au/interim-orders-and-interim-proceedings-in-family-law/> [Last seen: 15 Nov, 2021]
31. Judgment of the Supreme Court of Georgia of February 25, 2016 #AS-967-916-2015. <https://www.supremecourt.ge/ganmartebebi/> [Last seen: 15 Nov, 2021]
32. Nozadze, A., (2020). Temporary Ordinance, Master Thesis, Tbilisi, p. 38.
33. UNICEF Study, (2017). Child-Friendly Justice, Legislation Research. <https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf> [Last seen: 28 Nov, 2021]
34. EU for Georgia and UNICEF Joint Project, (2016). Human Rights for All, Analysis of Social Norms (Research) in the Context of Violence against Children, <სოციალური ნორმების ანალიზი.pdf> [Last seen: 17 Nov, 2021]
35. Ibid., p. 35.
36. Civil Procedure Code of Georgia, article2511 (1). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149> [Last seen: 17 Nov, 2021]
37. Civil Code of Georgia, article 1201(2). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117 > [Last seen: 17 Oct, 2021]
38. Zoidze B., & Chanturia L., (2000). Commentary on the Civil Code of Georgia, Book Five, Tbilisi: Law Publishing House, p. 178.
39. Ibid., p. 178.
40. Decision of the Supreme Court of Georgia of 22 August 2012, Case #AS-1809 – 1783-2011. <https://temida.ge/fullcase/1102/--.pbn> [Last seen: 20 Dec, 2021]
41. Shoshiashvili, N., (2002). For Improving Family Law, Tbilisi: Law Publishing House # 4, p. 15.
42. Japaridze, K., (2015). Personal and property relations of parents and children, doctoral thesis, Tbilisi, p. 111.
43. Ibid., p. 111.
44. Judgment of the European Court of Human Rights, Johansen v. Norway <https://www.globalhealthrights.org/wp-content/uploads/2015/01/JOHANSEN-v.-NORWAY.pdf> [Last seen: 22 Nov,2021]
45. Civil Code of German. article 1626a, 1626. <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [Last seen: 22 Nov, 2021]
46. Civil Code of German. article 1627. <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [Last seen: 22 Nov, 2021]
47. Goguadze, S., (2019). Some Aspects of Legal Relations between Parent and Child, Master Thesis, Tbilisi, p. 49.